აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 1

9 თებერვალი 2021 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი- „ეთიკის საბჭოს შექმნის შესახებ“ (09-01-08/, 28.01.2021)

დასახელება

უმაღლესი საბჭოს წევრები:
დავით გაბაიძე
ვლადიმერ მგალობლიშვილი

ავტორი

უმაღლესი საბჭოს წევრები:
დავით გაბაიძე
ვლადიმერ მგალობლიშვილი

ინიციატორი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

წამყვანი კომიტეტი

28.01.2021 წელი

უმაღლესი საბჭოსთვის წარდგენის თარიღი

წამყვანი კომიტეტი - 16.02.2021 წელი

კომიტეტის სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი

რიგგარეშე სესია

სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი

კომიტეტები, რომელთა დასკვნები სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დავით გაბაიძე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

02/02/2021
N 125

125-09-02-11-3-202102021012

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და
საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

,,ეთიკის საბჭოს შექმნის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტის თაობაზე

(N09-01-08/5, 28.01.2021 წ. ინიციატორი: უმაღლესი საბჭოს
წევრები-დავით გაბაიძე და ვლადიმერ მგალობლიშვილი)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და 86-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა ,,ეთიკის საბჭოს შექმნის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეესაბამება ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პატივისცემით,

ვაჟა ცეცხლაძე

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი

საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №37

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ **გიორგი ბერიძეს**

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 84-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 115-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტს - „ეთიკის საბჭოს შექმნის შესახებ".

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ბიუროს მივმართავ თხოვნით მიიღოს გადაწყვეტილება წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე სესიებს შორის პერიოდში ვადების დინების გაგრძელებებისა და მისი უმაღლესი საბჭოს 2021 წლის საგაზაფხულო სესიამდე განხილვის თაობაზე.

გთხოვთ, დადგენილების პროექტს მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

დანართი: -2- ფურცელი

09.01.03/5.
28 - 01 2021
3

პატივისცემით,

დავით გაბაიძე

ვლადიმერ მგალობლიშვილი

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

ეთიკის საბჭოს შექმნის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 155-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას ეთიკის საბჭო.
2. ეთიკის საბჭოს შემადგენლობა განისაზღვროს 4 წევრით.
3. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ბათუმი,
2021 წლის
№

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე „ეთიკის საბჭოს შექმნის შესახებ“

ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

დადგენილების პროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის ახალი რედაქცია, რომლის თანახმადაც უმაღლესი საბჭო, თავისი უფლებამოსილების ვადით, უფლებამოსილების ცნობიდან 2 თვის ვადაში დადგენილებით ქმნის ეთიკის საბჭოს.

უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ ეთიკური ნორმების დაცვა კარგი მმართველობის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია და ემსახურება საზოგადოების წინაშე დეპუტატების ანგარიშვალდებულების ამაღლებას.

უმაღლესი საბჭოს წევრის ეთიკის ნორმები არეგულირებს უმაღლესი საბჭოს წევრის ქცევას მისი სტატუსიდან გამომდინარე და განსაზღვრავს წესებს, რომლებიც მან უნდა გაითვალისწინოს თავის საქმიანობაში და ასევე კოლეგებთან, თანამშრომლებთან, მედიასთან, სხვა ინსტიტუტებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობისას, ასევე განსაზღვრავს პასუხისმგებლობას ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევაში.

უმაღლესი საბჭოს წევრის ეთიკის ნორმების სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის აუცილებელია მისი აღსრულების მექანიზმის, ეთიკის საბჭოს ჩამოყალიბება.

ბ) დადგენილების პროექტის არსი:

დადგენილების პროექტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 155-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად იქმნება ეთიკის საბჭო, ხოლო მისი შემადგენლობა განისაზღვრება უმაღლესი საბჭოს 4 წევრით.

გ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი დადგენილების პროექტის მიღება:

დადგენილების პროექტი არ საჭიროებს საფინანსო-ეკონომიკურ გაანგარიშებას.

დ) დადგენილების პროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი დავით გაბაიძე და ვლადიმერ მგალობლიშვილი.

ე) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი დავით გაბაიძე და ვლადიმერ მგალობლიშვილი.